სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 აპრილი, 2025 წ.

ბრძანება N 01-08/325

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერიძის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 31 მარტის №01-02/59 ბრძანების, ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სახელობითი სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 აპრილის №01-02/63 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2025 წლის 13-14 აპრილის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №1-2) და ამავე კომისიის თავმჯდომარის, რექტორის მოადგილის 2025 წლის 14 აპრილის №410419 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია, თვეში** 500 ლარის ოდენობით, **დაენიშნოს** 2025 წლის 1 მარტიდან 2025 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცეს ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს 7 სტუდენტზე, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება (პერსონალური მონაცემების დაცვით) თითოეული ფაკულტეტის მიერ დაეგზავნოს შესაბამის სტიპენდიატ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 აპრილის N 01-08/325 ბრძანების

N1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნა** 2025 წლის 1 მარტიდან 2025 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცემა ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებზე:**

N	სტუდენტის სახლი, გვარი	პირადი ნომერი	ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი
1.	თამარ სირაძე		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
2.	თორნიკე თედორაძე		საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წელი
3.	ვიქტორია დიასამიძე		ეკონომიკისა და ბიზნესის	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
4.	გიორგი ბრუნჯაძე		ტექნოლოგიური	არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
5.	გოჩა დავითაძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წელი
6.	ლიზი ნიკოდიმოვა		ტურიზმის	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
7.	ემზარი ჭელიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წელი